

დამტკიცებულია საქართველოს ოკუპირებული  
ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის,  
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის  
მინისტრის 2020 წლის 14 სექტემბრის  
№01-455/ო ბრძანებით

დანართი №1

## ტერმინოლოგია

საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული რეკომენდაცია (გაიდლაინი)

ინფექციის პრევენციისა და კონტროლის გაიდლაინებში გამოყენებულ გაიდლაინებში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი განსაზღვრებები:

**ადენოზინტრიფოსფატი (ATP)** - გამოიყენება ზედაპირების ბიოლოგიური დაბინძურების მარკერად;

**აერობული კოლონიების რაოდენობა (ACC)** - სიცოცხლისუნარიანი აერობული ბაქტერიების საერთო რაოდენობა კონკრეტულ ზედაპირზე. როგორც წესი, ითვლება კოლონიების ერთეულების რაოდენობით კვადრატულ სანტიმეტრზე;

**ანტისეპტიკური საშუალება** - სითხე, გელი ან ქაფი, რომლებიც გამოიყენება სხეულის ზედაპირებზე მიკროორგანიზმთა ინაქტივაციისთვის და ზრდის ინჰიბირებისთვის.

**ალკოჰოლშემცველი ანტისეპტიკური ხსნარი/საშუალება (ხელის სანიტაიზერი)** - სპირტის (მაგ. ეთანოლი, იზოპროპანოლი) ფუძეზე დამზადებული პრეპარატი (სითხე, გელი ან ქაფი), რომელიც განკუთვნილია ხელის დასამუშავებლად მის ზედაპირზე მიკროორგანიზმების ზრდის შემცირების მიზნით მაშინ, როდესაც ხელები ვიზუალურად დაბინძურებული არ არის. შეიძლება შეიცავდეს ალკოჰოლის ერთ ან რამოდენიმე სახეობას, ასევე სხვა აქტიურ ინგრედიენტებსა და დამხმარე ნივთიერებებს (შემარბილებელ საშუალებებს კანის გაღიზიანების შესამცირებლად). მისი გამოყენება საჭიროებს ნაკლებ დროს ხელის დაბანასთან შედარებით;

**ანტიმიკრობული საპონი** - საპონი, რომელსაც გააჩნია ანტისეპტიკური მოქმედება. გამოიყენება წყალთან კომბინაციაში და ახორციელებს ტრანზიტორული და რეზიდენტული (ნაწილობრივ) მიკროფლორის და სხვა დამაბინძურებლების მოცილებას კანის ზედაპირიდან;

**ასეპტიური ტექნიკა** - პროცედურები, რომელებიც უზრუნველყოფენ მიკრობების კოლონიზაციის პრევენციას. ასეპტიური ტექნიკა მოიცავს ხელის დაბანას, კანის

ანტისეპტიკური საშუალების, ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გამოყენებას, გარემოს სადეზინფექციო ხსნარით დამუშავებას, სტერილური ნაკრებების გახსნის ტექნიკას და სტერილური ნივთების გამოყენებას;

**აეროზოლები** - ჰაერში შეწონილი წვრილი ნაწილაკები ან სითხის წვეთები.

**ალკალი** - ტუტე მარილი (ან მარილთა კომბინაცია). გამოიყენება საპნის ან სარეცხი საშუალებების ეფექტურობის გაზრდის მიზნით;

**ამნიოტური სითხე** - სანაყოფე წყლები - ძირითადად დედის სისხლის პლაზმის ფილტრატი;

**ავტოკლავი** - სასტერილიზაციო მოწყობილობა, რომელშიც მაღალი წნევისა და ორთქლის გამოყენებით ხდება ინსტრუმენტების და მასალების სტერილიზაცია;

**ბასრი საგანი** - ნებისმიერი საგანი, რომელსაც აქვს კანის მთლიანობის დარღვევის უნარი (მოიცავს მჩხვლეტავ, მჭრელ, მჩხვლეტავ-მჭრელ საგნებს (ნემსები, გატეხილი შუშა, სკალპელი და ა.შ.);

**ბასრი საგნები უსაფრთხოების დამატებითი მექანიზმით** - გააჩნია უსაფრთხოების ფუნქცია ან მექანიზმი, რომელიც ეფექტურად ამცირებს ექსპოზიციის რისკს;

**ბიოტვირთი** - მიკრობული დაბინძურების ხარისხის საზომი: მიკროორგანიზმების რაოდენობა, რომელიც არის დაბინძურებულ ერთეულში (1 კვადრატულ სანტიმეტრში - ზედაპირის შემთხვევაში, 1 მილილიტრში - სითხის შემთხვევაში);

**ბიოლოგიური სითხე** - ორგანიზმში არსებული სითხეები (სისხლი, ლორწო, ოფლი, ნერწყვი, ცრემლი, შარდი, თავზურგტვინის სითხე, სითხეები ორგანოთა ღრუებიდან), რომლებიც შეიძლება შეიცავდეს ინფექციის გამომწვევ მიკროორგანიზმებს;

**ბიოლუმინესცენცია** - ცოცხალი მიკროორგანიზმების ცხოველმყოფელობით წამოქმნილი ხილული ნათება;

**ბიოლოგიური საშიშროება** - პათოგენური ბაქტერიების, ვირუსების და/ან პირობით პათოგენური მიკროორგანიზმების ან მათ მიერ გამოყოფილი ნივთიერებების ზემოქმედების რისკი ადამიანის ჯანმრთელობაზე;

**ბიოლოგიური ინდიკატორი** - სიცოცხლისუნარიანი ბაქტერიული სპორების შემცველი სატესტო სისტემები, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელია სტერილიზაციის ხარისხის შეფასება ან განსაზღვრა;

**გასუფთავება/წმენდა** - ორგანული და არაორგანული მასალის (მტვერი, სისხლი, ექსკრეტები, მიკროორგანიზმები, ნიადაგი და ა.შ) მექანიკური მოშორება ზედაპირებიდან და აღჭურვილობიდან. აუცილებელი ეტაპია დეზინფექცია/სტერილიზაციამდე. წმენდა ფიზიკურად აცილებს, მაგრამ არ კლავს მიკროორგანიზმებს;

**გასუფთავება/წმენდა** - ორგანული და არაორგანული მასალის (მტვერი, სისხლი, ექსკრეტები, მიკროორგანიზმები, ნიადაგი და ა.შ) მექანიკური მოშორება ზედაპირებიდან და აღჭურვილობიდან. აუცილებელი ეტაპია დეზინფექცია/სტერილიზაციამდე. წმენდა ფიზიკურად აცილებს, მაგრამ არ კლავს მიკროორგანიზმებს;

**გაუვნებელყოფა (დეკონტამინაცია)** - ინსტრუმენტებიდან/სამედიცინო დანიშნულების საგნებიდან, მოწყობილობებიდან, ზედაპირებიდან დაბინძურების და პათოგენური მიკროორგანიზმების მექანიკურად მოცილება და დეზინფექცია;

**გადაცემის გზებზე დაფუძნებული უსაფრთხოების ზომები** - უსაფრთხოების დამატებითი ღონისძიებები ინფექციის გადაცემის თავიდან ასაცილებლად, როდესაც უსაფრთხოების სტანდარტული ზომები არასაკმარისია; განისაზღვრება კონკრეტული ინფექციური აგენტის გადაცემის გზით;

**გაუმტარი** - ქსოვილის თვისება, არ გაატაროს სითხე და მიკროორგანიზმები;

**დადასტურება** - ინსტრუმენტებისა და სხვა სამედიცინო მოწყობილობის თანმიმდევრული დეზინფექციისა და სტერილიზაციის ეტაპების დოკუმენტირება;

**დაბინძურება (კონტამინაცია)** - მავნე, პოტენციურად ინფექციური ან არასასურველი ნივთიერებით უსულო საგნების ან ბიოლოგიური მასალის დაბინძურება;

**დამუშავება (ინსტრუმენტის)** - მრავალჯერადი მოხმარების სამედიცინო ინსტრუმენტების/მოწყობილობების ხელმეორედ გამოსაყენებლად მომზადებისათვის აუცილებელი პროცესების ერთობლიობა. რომელიც მოიცავს: დასუფთავებას, ფუნქციურ ტესტირებას, დეზინფექციას, შეფუთვას, მარკირებას, სტერილიზაციას.

## დაბინძურების დონე

- ძლიერი დაბინძურების არე - ტერიტორია, რომელშიც ზედაპირები და მოწყობილობები რეგულარულად იმყოფება ბიოლოგიური დაბინძურების ზემოქმედების ქვეშ (სისხლი და სხვა ბიოლოგიური სითხეები საოპერაციოში, სამშობიარო ბლოკში, გულის კათეტერიზაციის ლაბორატორია, აუტოფსიის ოთახი, ჰემოდიალიზის განყოფილება);
- ზომიერი დაბინძურების არე - ზედაპირები და მოწყობილობები ჩვეულებრივ რეგულარულად არ ბინძურდება, თუმცა შეიძლება დაბინძურდეს კიდეც სისხლით და სხვა ბიოლოგიური სითხეებით. პაციენტის/ვიზიტორის/რეზიდენტის ყველა ოთახი და სააბაზანო უნდა ჩაითვალოს მინიმუმ ზომიერად დაბინძურებულ ზონად;

- მსუბუქი დაბინძურების არე - ზედაპირების და მოწყობილობების დაბინძურება სისხლით და სხვა ბიოლოგიური სითხეებით ნაკლებად სავარაუდოა (მოსასვენებელი ოთახები, საკონსულტაციო კაბინეტები, ექთნების ოთახი);

**დასასუფთავებელი ელემენტი** - ინვენტარი, ზედაპირები, ნაკეთობები, რომლებიც საჭიროებენ გასუფთავება/გაწმენდას;

**დახურული სისტემა** - სისტემა, რომელშიც სისხლი არ განიცდის ჰაერის ან გარე ელემენტების ზემოქმედებას შეგროვებისა და დამუშავებისას კომპონენტების სეპარაციის ჩათვლით;

**დეზინფექცია** - პათოგენური და სხვა სახის მიკროორგანიზმების განადგურების პროცესი ფიზიკური ან ქიმიური საშუალებებით (გარდა ბაქტერიების სპორების, პრიონებისა და ზოგიერთი ვირუსისა). გამოიყენება მხოლოდ უსულო საგნებისთვის. ზოგიერთი პროდუქტი შეიცავს დეტერგენტსაც;

**დეტერგენტი (გამრეცხი საშუალება)** - პროდუქტი, რომელიც გამოიყენება წყალთან ერთად ზედაპირებიდან და სხვა სამედიცინო მოწყობილობებიდან ორგანული ნარჩენების, ცხიმების მოსაცილებლად;

**დონორობის გადავადება** - პირისთვის სისხლის ან სისხლის კომპონენტების გაცემის უფლების შეჩერება, რომელიც შეიძლება იყოს მუდმივი ან დროებითი;

**დაავადების შემთხვევა** - პაციენტი, რომლის კოლონიზება/ინფიცირება მულტირეზისტენტული ორგანიზმებით (MRSA, VRE), რესპირატორული, გასტროენტერული ინფექციების გამომწვევი პათოგენებით, *Cl. Difficile* -ით ან სხვა ეპიდემიოლოგიურად საშიში პათოგენებით დადასტურებული ან საეჭვოა;

**დარბილება** - დამარბილებელი გამოიყენება სტატიკური მუხტის შესამცირებლად, დაუთავების პროცესის გასაადვილებლად და ხაოიანი ზედაპირის მქონე ქსოვილის დასარბილებლად;

**დისპერსია** - ჭუჭყის აგრეგატის დაშლა მცირე ნაწილაკებად;

**დასასუფთავებელი ელემენტი** - ინვენტარი, ზედაპირები, ნაკეთობები, რომლებიც საჭიროებენ გასუფთავება/გაწმენდას;

**ექსპოზიცია** - თვალის, პირის, სხვა ლორწოვანი გარსის, კანის კონტაქტი (ინტაქტური ან დაზიანებული) სისხლთან/პოტენციურად საშიშ ბიოლოგიურ სითხეებთან. ის შეიძლება იყოს როგორც შემთხვევითი (ინციდენტი), ასევე დაგეგმილი პროცედურის დროს;

**ექსპოზიციის შემდგომი პროფილაქტიკა PEP** - ღონისძიებების მიღება რათა თავიდან იქნეს აცილებული ექსპოზირებულ პირში სისხლით გადამდები პათოგენის გავრცელება;

**ექსპოზიციის შემდგომი მოვლა და პროფილაქტიკა აივ-ინფექციის განვითარების რისკისას-** ინტერვენცია, რომელიც ახდენს აივ- ინფექციის გავრცელების პრევენციას ექსპოზირებულ ადამიანებში. გულისხმობს კონსულტირებას, რისკის შეფასებას, დაზიანებულის და ინფექციის სავარაუდო წყაროს HIV ტესტირებას, პირველად ზრუნვას და, საჭიროების შემთხვევაში, მოკლევადიან (28 დღიანი) ანტირეტროვირუსული პრეპარატებით მკურნალობას, შემდგომი მოვლით დ მხარდაჭერით;

**ენზიმი** - ნივთიერება, რომელიც გამოიყენება ორგანული დამაბინძურებლების მოსაცილებლად;

**ეპიდაფეთქება** - ინფექციურ დავადებათა შემთხვევების რიცხვის მატება, რომელიც მოსალოდნელია ადამიანთა გარკვეულ ჯგუფში მოცემულ რეგიონში და დროის განსაზღვრულ პერიოდში ან ერთი და იგივე დავადების 2-ზე მეტი დაკავშირებული შემთხვევა;

**ერთჯერადი გამოყენების მოწყობილობა** - მხოლოდ ერთი გამოყენებისთვის - ერთ პაციენტზე ან ერთი პროცედურისათვის გამოსაყენებელი მოწყობილობა;

**ერთჯერადი გამოყენების დამუშავებული მოწყობილობა** - ორიგინალური მოწყობილობა, რომელიც ადრე იყო გამოყენებული პაციენტზე და ექვემდებარება დამატებით დამუშავებას პაციენტზე დამატებითი ერთჯერადი გამოყენების მიზნით;

**ემულსიფიკაცია** - ცხიმის(ლიპიდების) შედარებით მსხვილი ნაწილების დაშლა უფრო მცირე, თანაბრად განაწილებულ ნაწილაკებად;

**ენდოსკოპის ავტომატიზირებული რეპროცესორი** - მოწყობილობა, რომელიც განკუთვნილია ენდოსკოპების დასუფთავებისა და დეზინფექციისთვის;

**ზედაპირულად აქტიური ნივთიერება (სურფაქტანტი)** - ქიმიური ნივთიერება, რომელიც წარმოადგენს გამრეცხი საშუალების მნიშვნელოვან ელემენტს. თავისი მოლეკულური სტრუქტურის გამო (ერთი მხარე უკავშირდება ჭუჭყს, ცილას, ცხიმს, ხოლო მეორე წყალს) ზრდის ჭუჭყის მოცილების შესაძლებლობას;

**თეთრეული** - ნებისმიერი რბილი საგანი/ნივთი (მაგ.: ტანსაცმელი, საწოლის თეთრეული, საოპერაციოს თეთრეული და ა.შ), რომელიც ირეცხება და გამოიყენება მრავალჯერადად;

**თეთრეულის დეზინფექცია** - პროცესი, რომლის საშუალებითაც თეთრეულზე პათოგენური ორგანიზმები მცირდება იმ რაოდენობამდე, რომ აღარ წარმოადგენს ადამიანისთვის ინფიცირების საშიშროებას;

**ინფექციის კონტროლი** - ღონისძიებათა სისტემა, რომელიც მიმართულია სამედიცინო დაწესებულებაში ინფექციურ დავადებათა აღმოცენებისა და გავრცელების პრევენციისაკენ;

**ინფექციის კონტროლის იერარქია** - ეფუძნება პრიორიტეტებს მათი ეფექტურობის მიხედვით, რათა გაკონტროლდეს ექსპოზიცია და შემცირდეს საფრთხე, რომელიც იწვევს ავადობას. იგი მოიცავს შემდეგ საფეხურებს:

- საფრთხის აღრიცხვა, შეფასება და აღმოფხვრა
- საინჟინრო კონტროლი
- ადმინისტრაციული კონტროლი
- სამუშაო პრაქტიკის კონტროლი
- ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გამოყენება

**ინფექცია** - მიკროორგანიზმების შეჭრა და გამრავლება მასპინძლის ქსოვილებში, რომელსაც თან ახლავს ავადმყოფობის ნიშნების განვითარება (ცხელება და ანთება);

**ინფექციური აგენტი** - დაავადების გამომწვევი ნებისმიერი მიკროორგანიზმი (ბაქტერია, ვირუსი, სოკო, პარაზიტი);

**ინდივიდუალური დაცვის საშუალება (იდს)** - საშუალებები, რომლებიც გამოიყენება ადამიანების მიერ და განკუთვნილია ჯანმრთელობასა და სიცოცხლესთან დაკავშირებული ერთი ან რამდენიმე რისკის თავიდან ასარიდებლად;

**ინვაზიური პროცედურა** - ნებისმიერი პროცედურა, რომელიც არღვევს კანის ან ლორწოვანი გარსის მთლიანობას და/ან აღწევს ორგანიზმის ღრუში ან ორგანოში;

**ინსინერაცია** - ნარჩენების სრული დაწვა. წვის პროცესის ხელშეწყობა შესაძლებელია საწვავის დამატებით;

**იმპეტეგო** - კანის ზედაპირული სტაფილოკოკური ან სტრეპტოკოკური ინფექცია. ბაქტერიები ადვილად ვრცელდება ინფიცირებული პირის სხეულის ერთი ნაწილიდან მეორეზე ან ერთი ადამიანიდან მეორეზე უშუალოდ წყლულებზე შეხებისას ან დაბინძურებულ ტანსაცმელთან კონტაქტისას;

**იზოლირებული შემთხვევა** - მულტირეზისტენტული ორგანიზმებით (MRSA, VRE, MRGN), რესპირატორული, გასტროენტერული ინფექციების გამომწვევი პათოგენებით, *Cl. Difficile*-თი და სხვა ეპიდემიოლოგიურად საშიში მიკროორგანიზმებით ინფიცირების ან კოლონიზირების ცალკეული დაუკავშირებელი შემთხვევა;

**ინციდენტი** - იდენტიფიცირებადი მდგომარეობა/მოვლენა (ნემსის ჩხვლეტა, ბასრი საგნებით კანის საფარველის დაზიანება, სითხეების გაშხეფება, დაღვრა და სხვ.), რომელმაც გამოიწვია დაწყებული საქმიანობის/მოქმედების/პროცესის შეწყვეტა ან შეფერხება და რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს მატერიალური ზიანი ან/და სხვა არასასურველი შედეგები, შესაძლებელია შეუქმნას საფრთხე დასაქმებულის ან სხვა პირის ჯანმრთელობას;

**ინიექცია** - მედიკამენტების და სითხის პერკუტანული შეყვანა. ეს შესაძლებელია განხორციელდეს შპრიცით, ნემსით, საინფუზიო პამპით, ტრანსდერმული პატჩებით, მიკრონემსებით და სხვა მოწყობილობებით. ინიექციები ძირითადად კლასიფიცირდება

სამიზნე ქსოვილის მიხედვით (ინტრადერმული, სუბკუტანური, ინტრამუსკულარული, ინტრავენური, ძვალშიდა, ინტრარტერიალური, პერიტონიალური);

**ინტრამუსკულარული ინექცია** - ინექცია კუნთში;

**ინტრავასკულარული ინექცია** - სისხლძარღვშიდა ინექცია;

**ინტრავენური ინექცია** - ინექცია ვენაში;

**ინჯექტორი** - მოწყობილობა, რომლის საშუალებით მაღალი წნევის ქვეშ ხდება ნივთიერების კანქვეშ შეყვანა;

**იბულების ფუნქცია** - უსაფრთხოების დიზაინის ფუნქცია, რომელიც ხელს უშლის მოწყობილობის არასათანადო მოხმარებას (მაგ: ინტრავენური აღჭურვილობების კომპლექტში სარქველები, რომლებიც ხელს უშლის ნემსის შეღწევადობას);

**კოლონიზაცია** - მიკროორგანიზმების არსებობა, ზრდა და გამრავლება ინფექციის ხილული ნიშნების ან სიმპტომების გარეშე;

**კოლონიის წარმომქმნელი ერთეული (COE)** - მიკროორგანიზმების რაოდენობრივი საზომი, ჩვეულებრივ გამოიხატება სიცოცხლისუნარიანი ორგანიზმების რაოდენობით საზომ ერთეულში (მლ - სითხეებისთვის, მგ - მყარი ნივთიერებებისთვის, სმ<sup>2</sup> - მყარი ზედაპირებისთვის);

**კლოსტრიდიუმ დიფიცილე (*Clostridium difficile*)** - სპორის წარმომქმნელი ანაერობული გრამდადებითი ბაქტერია. იწვევს გასტროენტერული ტრაქტის დაავადებებს, რომლებიც ხშირად ასოცირდება ანტიბიოტიკების მიღებასთან (მაგ., ანტიბიოტიკ-ასოცირებული დიარეები ან კოლიტი);

**კუმულაციური ეფექტი** - ანტიმიკრობული მოქმედების ეფექტურობის ზრდა, მოწოდებული ანტისეპტიკური საშუალების მრავალჯერადი გამოყენების შედეგად;

**კონტაქტური გადაცემა** - ხდება პაციენტის ინფექციურ მასალასთან და/ან დაბინძურებულ ზედაპირთან შეხებისას;

**კოჰორტული იზოლაცია** - ერთიდაიგივე მიკროორგანიზმით ინფიცირებული ან კოლონიზირებული პაციენტების მოთავსება ერთ სივრცეში, რითიც თავიდან იქნება აცილებული სხვა პაციენტებთან მათი კონტაქტი;

**მემბრანული ზეწოლა** - ერთ ან ორ ეტაპიანი მემბრანული პრესი, რომელიც ახდენს ნარჩენი ტენის ექსტრაქციას მაღალი წნევის საშუალებით. დაკავშირებულია რეცხვის უწყვეტ კონვეიერულ სისტემასთან;

**მექანიკური ცვეთა** - თეთრეულის სიმტკიცის დაკარგვა გამოწვეული მექანიკური ზემოქმედებით რეცხვის პროცესში;

**მიმღებლობა** - ადამიანის მახასიათებელი დაავადდეს ინფექციით გამომწვევის არსებობის პირობებში

- **მაღალი მიმღებლობა** - ადამიანი ძლიერ მგრძობიარეა ინფექციების მიმართ ჯანმრთელობის მდგომარეობის ან იმუნიტეტის დაქვეითების გამო. ამ ჯგუფს მიეკუთვნებიან პაციენტები მძიმე ნეიტროპენიით, იმუნოკომპრომენტირებული - ონკოლოგიური, ჰემატოლოგიური, თირკმლის დაავადებების მქონე, ტრანსპლანტაციის შემდგომი პერიოდის და ძლიერი დამწვრობის მქონე პაციენტები, დღენაკლული ახალშობილები;
- **დაბალი მიმღებლობა** - ყველა დანარჩენი პირი კლასიფიცირდება, როგორც ინფექციებისადმი ნაკლებ მგრძობიარე.

**მშრალი-დაკეცილი** - პროდუქტი, რომელიც არის გარეცხილი, მშრალი და დაკეცილი და არ მოითხოვს გაუთოებას ან სხვა დამამთავრებელ პროცედურებს;

**მანდატორული მოთხოვნა** - მოითხოვს სავალდებულო შესრულებას;

**მულტირეზისტენტული ორგანიზმი (MRO)** - ნებისმიერი პოტენციურად პათოგენური ბაქტერია, რომელიც მდგრადია ანტიბიოტიკების ერთი ან რამდენიმე კლასის მიმართ (CRE, MRSA, VRE)

**მორგების ტესტი** - მისი საშუალებით ფასდება, რამდენად სწორად არის მორგებული რესპირატორი სახეზე. ეფუძნება გემოსა და სუნის შეგრძნებას ან უნებლიე ხველის განვითარებას კვამლის ან ტკბილი სუნის შედეგად იმ პირის მიერ, რომელსაც მორგებული აქვს რესპირატორი. მორგების ტესტი ასევე შეიძლება ჩატარდეს სპეციალური ინსტრუმენტის მეშვეობით;

**მჭიდროდ მორგების შეფასება** - პროცედურა, რომელსაც ახორციელებს რესპირატორის მომხმარებელი იმის შესაფასებლად, თუ რამდენად მჭიდროდ აქვს რესპირატორი მორგებული სახეზე. შეფასებას ახდენს მომხმარებელი შექმნილი დადებითი წნევით (ანუ რესპირატორის გვერდებიდან გამოსული ჰაერის შეფასებით ამოსუნთქვის შემდეგ) და უარყოფითი წნევით (ანუ რესპირატორის გვერდებიდან შესული ჰაერის შეფასებით შესუნთქვის დროს).

**მუნი** - კანის დასნებოვნება, გამოწვეული მუნის ტკიპით (*Sarcoptes scabiei*);

**მყარი ბასრი იარაღი** - მჭრელი იარაღი რომელსაც არ გააჩნია სანათური სადაც ნივთიერებას შეუძლია თავისუფლად იმოძრაოს მაგალითად (საკერავი ნემსი, სკალპელი ან ლანცეტი);

**ნარჩენი** - ნებისმიერი მასალა, საგანი ან ნივთიერება, რომელსაც მფლობელი იშორებს, განზრახული აქვს მოიშოროს ან ვალდებულია მოიშოროს.

- **მუნიციპალური ნარჩენები** - საერთო ნარჩენები, რომელიც არ შეიცავს ინფექციურ და სხვა სახის სახიფათო ნარჩენებს;

- **ინფექციური ნარჩენი** - ნარჩენები, რომლებიც შესაძლოა შეიცავდეს პათოგენებს (ბაქტერიებს, ვირუსებს, პარაზიტებს და სოკოს) იმ რაოდენობით და კონცენტრაციით, რომ გამოიწვიოს დაავადების განვითარება/გავრცელება;
- **ბასრი ნარჩენი** - საგნები, რომელთაც აქვთ მჭრელი ან მჩხვლეტავი ზედაპირები. მათ მიეკუთვნება: ნემსები, ჰიპოდერმული ნემსები, სკალპელები და დანები, საინფუზიური სისტემების კათეტერები და ნემსები, ხერხები, გატეხილი ამპულები და წამლის შუშები, პიპეტები, ლურსმნები. ბასრი საგნები, მიუხედავად იმისა, დაბინძურებულია თუ არა ბიოლოგიური სითხეებით, განიხილება სახიფათო სამედიცინო ნარჩენებად.

**ნარჩენების მართვა** - სამედიცინო დაწესებულებაში წარმოქმნილი ყველა ტიპის ნარჩენის სეგრეგაცია-სეპარაცია, შეგროვება, წინასწარი დამუშავება, დროებითი შენახვა, ტრანსპორტირება, უტილიზაცია და განთავსება. ამ საქმიანობების, ღონისძიებებისა და ოპერაციების ზედამხედველობა და ნარჩენების განთავსების ობიექტების შემდგომი მოვლა;

**ნარჩენების მოცილება** - ნარჩენების გატანა სამედიცინო დაწესებულებიდან და უტილიზაცია და/ან განთავსება საბოლოო ადგილას;

**ნარჩენების წინასწარი დამუშავება** - მეთოდი, ტექნიკა ან საშუალება, რომელიც იწვევს ნარჩენების ბიოლოგიური, ქიმიური ან ფიზიკური თვისებების სახიფათოობის, ასევე უტილიზაციაზე დანახარჯების შემცირებას.

**ნარჩენი ნალექი**- წარმოადგენს ორგანულ ან არაორგანულ ნარჩენებს ქსოვილზე, რომელიც ხშირად გამოწვეულია წყლის სიხისტით და არაეფექტური გავლებით. შეიძლება გამოიწვიოს ქსოვილის გაუხეშება, დაზიანება და ფერის შეცვლა;

**ნოზოკომიური ინფექცია** - სამედიცინო მომსახურებასთან ასოცირებული ინფექცია, რომელიც შეძენილია/აღმოცენებულია სტაციონარულ სამედიცინო დაწესებულებაში ჰოსპიტალიზაციიდან 48 საათის შემდეგ და რომელიც არ აღენიშნებოდა პაციენტს სამედიცინო დაწესებულებაში მიმართვის მომენტში მანიფესტური ფორმით ან ინკუბაციურ პერიოდში.

**ნორმალური მიკროფლორა** - მიკროორგანიზმები, რომლებიც ჩვეულებრივ ცხოვრობენ და ცხოველმყოფელობენ სხეულის ზედაპირზე ან მის შიგნით ლორწოვან გარსებზე (მაგ. ნაწლავები) და მათი არსებობა მნიშვნელოვანია ჯანმრთელობის შენარჩუნებისთვის.

**პათოგენი ან ინფექციური აგენტი** - მიკროორგანიზმი (ბაქტერია, ვირუსი, პროტოზოა, სოკო) ან პრიონი, რომელიც იწვევს დაავადებას მასპინძლის ორგანიზმში;

**პაციენტი** - ნებისმიერი პირი, რომელიც, მიუხედავად მისი ჯანმრთელობის მდგომარეობისა, სარგებლობს, საჭიროებს ან აპირებს ისარგებლოს ჯანმრთელობის დაცვის სისტემის მომსახურებით;

**პაციენტის მოვლის არე** - სივრცე/არეალი, რომელიც მოიცავს პაციენტის ირგვლივ არსებულ ყველა საგანს და ზედაპირს და გამიჯნულია სხვა პაციენტების არეებისაგან. წარმოადგენს საკვანძო ფაქტორს ხელის ჰიგიენის პროცედურების შესრულების პროცესში;

**პაციენტის მოვლის გარემო** - მოიცავს პაციენტს, სამედიცინო პერსონალს და პაციენტის მოვლის არეს;

**პერსისტენტული აქტივობა** - ფართო სპექტრის საშუალებების გახანგრძლივებული მოქმედება, რომელიც მიმართულია მიკროოგანიზმთა ზრდის ინჰიბირების და მათი შემდგომი ცხოველქმედების დათრგუნვისაკენ. გააჩნია ნარჩენი/რეზიდუალური მოქმედება და ახასიათებს ხელების ქირურგიული ანტისეპტიკისთვის მოწოდებულ ალკოჰოლშემცველ საშუალებებს;

**პრევენცია (პროფილაქტიკა)** – მედიცინის შემადგენელი ნაწილი, რომელიც გულისხმობს დაავადების განვითარების რისკის შემცირებას;

**პროფესიული დაავადება** – დასაქმებულის მწვავე ან ქრონიკული დაავადება, რომელიც ვითარდება საწარმოო გარემოსა და სამუშაო პროცესის საფრთხის შემცველი ფაქტორების ზემოქმედებით, იწვევს პერსონალის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებას ან/და პროფესიული შრომისუნარიანობის შეზღუდვას მოკლე პერიოდში ან ხანგრძლივად და განსაზღვრულია საქართველოს კანონმდებლობით;

**პროფესიული რისკი** – პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული საწარმოო გარემოსა და სამუშაო პროცესის ფაქტორების გავლენით დასაქმებულის ან სხვა პირის ჯანმრთელობისთვის უშუალო და პირდაპირი ზიანის მიყენების ალბათობის ხარისხი, შესაბამისი შედეგის სიმძიმის ხარისხის გათვალისწინებით;

**პრიონი** - პრიონი არის ცილოვანი ინფექციური აგენტი, რომელიც გადის ბაქტერიულ ფილტრში და არ მრავლდება ხელოვნურ საკვებ ნიადაგებზე;

**პრესი** - დანაგდარი, რომელიც მაღალი წნევის და ტემპერატურის მეშვეობით ასრულებს დაუთოვების პროცესს, გამოიყენება პატარა ზომის სარეცხზე და ტანსაცმელზე, რომლის შემადგენლობა არის 100 % ბამბა;

**რისკის შეფასება** – ღონისძიებათა კომპლექსი, რომელიც ეფუძნება შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ აღიარებულ მეთოდოლოგიას და მოიცავს სამუშაო სივრცეში სამუშაო პროცესთან დაკავშირებული საფრთხეების იდენტიფიცირებას, ანალიზს, შეფასებასა და პრევენციული ღონისძიებების განსაზღვრას;

**რეკაპინგი** - პროცესი, რომელიც მოიცავს ნემსზე ხუფის დახურვას. უსაფრთხო ინექციების პრაქტიკის მოთხოვნებით, აღნიშნული ქმედების განხორციელება კლინიკური პრაქტიკის თავისებურებიდან გამომდინარე გამონაკლისების გარდა დაუშვებელია;

**რეცხვა** - არსებული დაბინძურების მოცილება საპნის ან დეტერგენტების საშუალებით;

**პროცესი რეცხვა** - პროცედურა, რომლის მეშვეობითაც შემსრულებელი აწვდის დამკვეთს თეთრეულს სუფთა, ესთეტიურად, ჰიგიენურად და ფიზიკურად მისაღებ ფორმაში;

**რეცხვის უწყვეტი კონვეირული პროცესი** - უზრუნველყოფს პროცესის უწყვეტობას დიდი მოცულობის გასარეცხი თეთრეულის და სხვა პროდუქტის რეცხვისას, რაც მოითხოვს დიდ ფიზიკურ ძალას. ამ პროცესის მეშვეობით იზოგება პერსონალის ფიზიკური დატვირთვა;

**რეზიდენტული ფლორა** - მიკროორგანიზმები, რომლებიც მუდმივად ცხოველმყოფელობენ და მრავლდებიან კანზე; ხელის ჰიგიენის შედეგად შესაძლებელია მათი რაოდენობის მნიშვნელოვანდ შემცირება;

**სასტუმროს ტიპის დასუფთავება** - სამედიცინო დაწესებულებაში გასატარებელი დასუფთავების ღონისძიებები ვიზუალური დაბინძურების მოსაცილებლად (მტვრისა და ჭუჭყის მოშორება, ნარჩენების მოცილება, ფანჯრების და ზედაპირების წმენდა);

**საავადმყოფოს ტიპის დასუფთავება** - პაციენტის მომსახურების არეებში გასატარებელი დასუფთავების ღონისძიებები. ამ შემთხვევაში "სასტუმროს ტიპის" დასუფთავებას ემატება დეზინფექცია, დალაგების მეტი სიხშირე, მონიტორინგის და ინფექციის კონტროლის ზომები;

**საყოფაცხოვრებო საპონი** - დეტერგენტი, რომელიც არ შეიცავს ანტიმიკრობული მოქმედების მქონე ნივთიერებს. შემადგენლობაში მხოლოდ კონსერვანტების (დანამატების) შემცველობაა შესაძლებელი. აცილებს ჭუჭყს და ამცირებს ტრანზიტორულ მიკროფლორის რაოდენობას;

**სარეცხი საშუალება** - ნივთიერება, რომელიც ზრდის წყლის უნარს, შეაღწიოს გასარეცხ მასალაში/საგნებში და დაშალოს ცხიმები და ჭუჭყი. სარეცხი საშუალებები საჭიროა ეფექტური გასუფთავებისთვის;

**სარეცხი მანქანა/დანადგარი** - დანადგარი რომლის მეშვეობითაც ხდება დაბინძურებული თეთრეულის რეცხვა მათი სარეცხ საშუალებებთან შერევით. ეს დანადგარი შედგება - სარეცხი მანქანა, კონვეირული სისტემა, წყლის ექსტრაქტორი, რეცხვის უწყვეტი კონვეირული პროცესი;

**სარეცხი ექსტრაქტორი-სარეცხი მანქანა** - სარეცხი მანქანა, რომელიც აცილებს სარეცხ ხსნარს ცენტრიფუგირებით;

**საშრობი** - საშრობი მანქანა, რომელიც იყენებს მბრუნავ ქმედებას და გასაცხელებლად იყენებს ორთქლს, აირს, ზეთს ან ელექტროენერგიას;

**სამედიცინო მომსახურების მიმწოდებელი** - ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელსაც აქვს დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის განხორციელების სახელმწიფო სერტიფიკატი ან შესაბამისი სამედიცინო საქმიანობის განხორციელების უფლება;

**სამედიცინო მომსახურებასთან ასოცირებული ინფექცია** - ინფექცია, რომელიც განვითარდა სამედიცინო სერვისის (მათ შორის, ამბულატორიული, სტაციონარული) მიღების პროცესში ან შემდეგ და რომელიც არ აღენიშნებოდა პაციენტს სამედიცინო დაწესებულებაში მიმართვის მომენტში;

**სპორა** - ზოგიერთი ბაქტერიის (მაგ. *Cl.difficile*) მიერ გარემოს არახელსაყრელი პირობების საპასუხოდ წარმოქმნილი მკვრივი გარსით დაფარული მიკროსკოპული ჩანასახი, რომელიც ემსახურება გამრავლებას და არახელსაყრელ პირობებში სახეობის გადარჩენას. სპორები გამძლეა რეცხვის, მაღალი ტემპერატურის და ქიმიური ნივთიერებების მიმართ;

**სამედიცინო აღჭურვილობა/მოწყობილობა** - ნებისმიერი ინსტრუმენტი, მოწყობილობა, მასალა, აღჭურვილობა, რომელიც გამოიყენება სამედიცინო დაწესებულებაში პაციენტის მკურნალობის, დიაგნოსტიკის, მონიტორინგის და სხვა მანიპულაციების ჩატარებისას;

**საიზოლაციო არე** - სივრცე ან ოთახი, სადაც დაავადების შემდგომი გავრცელების პრევენციის მიზნით ხდება ინფექციური ან პოტენციურად ინფექციური პაციენტების განცალკევება სხვა პაციენტებისაგან;

**საიზოლაციო ოთახი/პალატა** - საიზოლაციო ოთახი/პალატა, რომლის დაგეგმარება (რაბი, შლუზი და ა.შ.) და სავენტილაციო სისტემის ფუნქციონირება უზრუნველყოფს ინფექციების დაწესებულების შიგნით გავრცელების პრევენციას;

**სადეზინფექციო საშუალება** - ქიმიური ნივთიერება, რომელიც გამოიყენება ზედაპირებზე პათოგენური და არაპათოგენური მიკროორგანიზმების გასანადგურებლად (გარდა სპოროვანი ორგანიზმებისა). გამოიყენება მხოლოდ უსულო საგნებისთვის. ზოგიერთი პროდუქტი შეიცავს დეტერგენტებსაც (კომბინირებული საშუალება);

**სამედიცინო ნარჩენების სეგრეგაცია** - წარმოქმნის ადგილზე მყარი ნარჩენების დაყოფა კატეგორიებად;

**სამუშაო პროცესის პრაქტიკის კონტროლი** - ქმედებები, რომლებიც შეამცირებენ ექსპოზიციის ალბათობას სამუშაო პროცესზე პირდაპირი დაკვირვების გზით;

**საფრთხე** - მავნე ზემოქმედების პოტენციური წყარო;

**საფრთხის ტექნიკური კონტროლი** - სამუშაო ადგილიდან საფრთხის მოცილება დაზიანებისა და ინფექციის პრევენციის მიზნით. მაგალითად, შპრიცით ტრავმის პრევენციის ტექნიკური კონტროლი ნიშნავს იმას, რომ საქმიანობის ადგილიდან მოცილდეს ბასრი საგნების სავსე კონტეინერები;

**სახიფათო ნარჩენი** - იგივე სარისკო ნარჩენი, რომელსაც აქვს „ნარჩენების მართვის კოდექსით“ განსაზღვრული ერთი ან მეტი სახიფათოობის მახასიათებელი;

**სითხემდეგი** - ქსოვილის თვისება, არ გაატაროს სითხე ჩვეულებრივ პირობებში, მაგრამ გაატაროს ის წნევით დასხმისას;

**სეროკონვერსია** - ანტისხეულების განვითარება იმ ადამიანთა სისხლში, რომელთაც ადრე არ გააჩნიათ აღნიშნული ანტისხეულები;

**სინოვიური სითხე** - ხახუნის შემარბილებელი გამჭვივრვალე სითხე, რომელიც იქმნება სახსრებში, სინოვიურ ჩანთებსა და მყესების გარსებში;

**სუბკუტანური ინექცია** - ინექცია კანქვეშ;

**სისხლით გადამდები პათოგენები (სგპ)** - პათოგენური მიკროორგანიზმი, რომელიც გვხვდება ადამიანის სისხლში ან სხვა პოტენციურად ინფექციურ მასალაში და შეუძლია ადამიანის დაინფიცირება და /ან დაავადების გამოწვევა. ამ ჯგუფში ძირითადად მოიაზრება ჰეპატიტის B ვირუსი (HBV), ჰეპატიტის C ვირუსი (HCV) და ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსი (HIV);

**სისხლის ერთეული** - ანტიკოაგულანტის შემცველი სტერილური პლასტიკური ჩანთა, რომელშიც გროვდება ერთი დონორისგან მიღებული სისხლის ფიქსირებული მოცულობა. შეგროვების სისტემა უნდა იყოს დახურული;

**სისხლის კომპონენტები** - მთლიანი სისხლიდან ცენტრიფუგირების, ფილტრაციის, გაყინვის მეთოდების გამოყენებით მიღებული სისხლის თერაპიული კომპონენტები(ერიტროციტები, თრომბოციტები, პლაზმა)

**სისხლის პროდუქტი** - ადამიანის სისხლიდან ან პლაზმიდან მიღებული ნებისმიერი თერაპიული პროდუქტი

**სტანდარტული უსაფრთხოების ზომები** - მტკიცებულებებზე დაფუძნებული ქმედებები, რომლებიც გამოიყენება სამედიცინო პრაქტიკაში ბიოლოგიურ სითხეებთან, დაზიანებულ კანთან (მ.შ. გამონაყარი) და ლორწოვან გარსებთან კონტაქტისას **ყოველთვის** და **ყველა** პაციენტთან.

**სტერილიზაცია** - დადასტურებული პროცესი, რომელიც გამოიყენება საგნების გასათავისუფლებლად სიცოცხლისუნარიანი მიკროორგანიზმებისგან, მათ შორის, ვირუსების და ბაქტერიების სპორებისგან, მაგრამ არა პრიონებისგან;

**სუსპენზია** - ნივთიერებათა ნარევი, რომელშიც სითხეში შეწონილია მყარი, უხსნადი ნაწილაკები;

**„სურსათი“ (საკვები პროდუქტი)** - ადამიანის მოხმარებისთვის განკუთვნილი სასიცოცხლოდ აუცილებელი ნივთიერებები. საკვები მოიცავს საკვებ ინგრედიენტებს, სასმელს და ყინულს, ასევე ენტერალურ კვებას. საკვები არ მოიცავს პარენტერალურ კვებას და მედიკამენტებს;

- **"მაღალი რისკის საკვები"** - საკვები, რომელიც ხელს უწყობს მიკროორგანიზმების ზრდას და რომელიც "უკვე მომზადებულია" (ანუ იგი შემდგომ დამუშავებას არ ექვემდებარება, მაგ. თერმულს, რომელიც მასთან დაკავშირებულ რისკებს აღმოფხვრის ან შეამცირებს). მაღალი რისკის საკვების მაგალითებია: მოხარშული ხორცი და ხორცის პროდუქტები, მოხარშული თევზი და თევზის ნაწარმი, რძის პროდუქტები, მოხარშული ბრინჯი და პასტა და ა. შ.;
- **"დაბალი რისკის საკვები"** - საკვები, რომელიც ხელს არ უწყობს მიკროორგანიზმების გავრცელებას ან საკვები, რომელიც გარკვეულწილად შეიძლება იყოს მიკროორგანიზმების გამრავლების ხელშემწყობი, მაგრამ საბოლოო პროდუქტის მომზადებისას ექვემდებარება სამზარეულოში ისეთ დამუშავებას, რომელიც სრულად

გამორიცხავს საფრთხის შემცველობას. დაბალი რისკის საკვებია: პური, მშრალი ნამცხვარი, მარცვლეული, ნედლი ხორცის / თევზი და ა. შ.

**ტერმინალური დასუფთავება** - საბოლოო დალაგება, პაციენტის ოთახის და გარემოს სრულყოფილი წმენდა მისი გაწერის/სიკვდილის/სხვა განყოფილებაში გადაყვანის შემთხვევაში;

**ტრანზიტორული ფლორა** - მიკროორგანიზმები, რომლითაც დაბინძურებულია ხელები პაციენტთან და დაბინძურებულ გარემო ობიექტებთან კონტაქტის შედეგად; მათი მოცილება შესაძლებელია ხელის ჰიგიენის პროცედურის ჩატარებით;

**ტექნიკის კონტროლი** - ნემსით დაზიანების პრევენციის კონტექსტში გულისხმობს კონტროლს (მაგ. ბასრი საგნების კონტეინერები, შედარებით უსაფრთხო სამედიცინო აპარატურა, ბასრი აღჭურვილობა დამცავი მექანიზმის მახასიათებლით), რომელიც სრულიად უზრუნველყოფს სისხლით გადაცემადი პათოგენებით დაინფიცირების საფრთხის აღმოფხვრას;

**ტოტალური ცვეთა** - სატესტო ქსოვილის სიმტკიცის დაქვეითება რეცხვის მრავალჯერადი ციკლის შემდეგ მისი თავდაპირველ მგომარეობასთან შედარებით. სიმტკიცის შემცირება შეიძლება გამოწვეული იყოს რეცხვის პროცესში მექანიკური ან ქიმიური ზემოქმედებით.

**უბედური შემთხვევა** - სამუშაო პროცესში ან სამუშაო პროცესთან დაკავშირებით მომხდარი შემთხვევა, რომელსაც შედეგად მოჰყვა დასაქმებულის ან სხვა პირის ჯანმრთელობის დაზიანება, შრომისუნარიანობის შეზღუდვა ან დაკარგვა, გარდაცვალება ან მისი უგზოუკვლოდ დაკარგულად აღიარება;

**უსაფრთხო ინიექცია** - ინიექცია, რომელიც ზიანს არ აყენებს მიმღებს, არ წარმოადგენს რისკს სამედიცინო პერსონალისთვის და არ ტოვებს ნარჩენს, რომელიც საფრთხეს უქმნის გარემოს და მოსახლეობას;

**უსაფრთხოების კულტურა** - მენეჯმენტისა და სამედიცინო პერსონალის საერთო ვალდებულება, უზრუნველყოს სამუშაო გარემოს უსაფრთხოება;

**უსაფრთხოების სტანდარტული ზომები** - სამუშაო პრაქტიკა, რომელიც აუცილებელია ინფექციის კონტროლის ძირითადი დონის მისაღწევად და რეკომენდებულია ყველა პაციენტის მოვლისა და მკურნალობისას;

**ფერთ კოდირება** - სისტემა, რომლითაც შესაძლებელია ჯანდაცვის სხვადასხვა სეგმენტში სხვადასხვა კატეგორიის ნივთების გამიჯვნა;

**ფუნქციური არე** - სამედიცინო დაწესებულების ნებისმიერი არე საქმიანობის მიხედვით; მაგ. საოპერაციო, გადაუდებელი დახმარების და ინტენსიური მოვლის განყოფილებები, პალატები, ადმინისტრაციული ნაწილი და სხვ;

**ფლებოტომია** - ვენის ან არტერიის პუნქცია საანალიზო მასალის აღების მიზნით;

**ქიმიური ინდიკატორი** - სატესტო სისტემა, რომელიც გამოავლენს ერთი ან მეტი წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმის ცვლილებას ფიზიკური ზემოქმედებისას. მაგ. ინდიკატორის ფერის ცვლილება სტერილიზაციისას;

**ქიმიური ნარჩენი** - ტარა ქიმიური ნივთიერებების ნარჩენებით, ვადაგასული, გაუვარგისებული ქიმიური ნივთიერებები. სახიფათო ქიმიურ ნივთიერებებს აქვთ ჩამოთვლილი თვისებებიდან, სულ მცირე, ერთი მაინც: ტოქსიური (მაგ. გამხსნელები და მძიმე მეტალები), კოროზიული (მაგ. ნატრიუმის ჰიპოქლორიტი > 0,5%), აალებადი (მაგ. ძრავის ზეთი), ფეთქებადი (მაგ. ელემენტები), მჟანგავი (მაგ. წყალბადის ზეჟანგი);

**ღია სისტემა** - სისტემა, რომელშიც მოხდა კანის მთლიანობის დარღვევა, მაგრამ ტარდება ყველა ზომა მიკრობული დაბინძურების თავიდან ასაცილებლად: მუშაობა სუფთა გარემოში სტერილური მასალებით ასეპტიკის წესების დაცვით;

**ღრუიანი ნემსი** - ნემსი (მაგ. კანქვეშა, ფლებოტომიის), რომლის ღრუს საშუალებით მოძრაობს მედიკამენტი და სისხლი;

**შესაბამისობის და ეფექტურობის მონიტორინგი** - ინფექციის პრევენციისა და კონტროლის ჯგუფის ან მსგავსი ჯგუფის მიერ ჩატარებული აუდიტის პროცესი ამ დოკუმენტში აღწერილ პოლიტიკასთან შესაბამისობის დონის შეფასების მიზნით;

### **შეხებადი ზედაპირები**

- **ხშირად შეხებადი ზედაპირები:** ავადმყოფის მოვლის გარემოში საწოლის ზედაპირები, მაგიდები, კარის სახელურები, ტელეფონი, ექთნის გამოსაძახებელი ღილაკი, შუქის ჩამრთველები, სააბაზანოს ზედაპირები (უნიტაზის დასაჯდომი, ჩასარეცხი ღილაკი, ონკანი);
- **ნაკლებად შეხებადი** ზედაპირები, რომელთაც მინიმალურად ვეხებით ხელით (იატაკები, კედლები, სარკეები, ფანჯრები);

**შპრიცები ხელმეორედ გამოყენების პრევენციული ფუნქციით** - სტერილური ჰიპოდერმული შპრიცი, რომელიც ხდება გამოუსადეგარი გამოყენების შემდეგ (ISO7886-4);

**შეფასება (ან აუდიტი)** - მეთოდების მიმოხილვა საუკეთესო სამუშაო პრაქტიკის სტანდარტებთან შეუსაბამო ხარვეზების გამოვლენის მიზნით;

**წყლის დარბილება** - ხისტ წყალში არსებული კათიონების მოცილება. რბილი წყალი უფრო თავსებადია სარეცხ საშუალებებთან და ახანგრძლივებს სან.ტექნიკისა და აღჭურვილობის ექსპლუატაციის ვადას;

**ხარისხის კონტროლი** - მართვის ფუნქცია, რომელიც აკონტროლებს მიწოდებული პროდუქტების ხარისხს და ინსპექტირებას უწევს ამ პროდუქციის საშუალებით წარმოებულ სერვისებს მისი არასათანადო ხარისხის თავიდან აცილების მიზნით;

**ხარისხის უზრუნველყოფა** - მომსახურების სხვადასხვა ასპექტების, მაგ. დეკონტამინაციის, სისტემატური მონიტორინგისა და შეფასების პროგრამა, ხარისხის სტანდარტების დაკმაყოფილების უზრუნველსაყოფად;

**ხელის ჰიგიენა** ზოგადი ტერმინია, რომელიც გულისხმობს მოქმედებათა ერთობლიობას, დაწყებულს ხელიდან ხილული ჭუჭყის მოშორებით, დამთავრებულს ტრანზიტორული

მიკროორგანიზმების განადგურებისა და რეზიდენტული მიკროფლორის მინიმუმამდე შემცირებით. ხელის ჰიგიენა მოიცავს ქირურგიულ ანტისეპტიკასაც.

**ხელის ქირურგიული ანტისეპტიკა** - ხელების პრეოპერაციული მომზადება, ხორციელდება ანტიმიკრობული საპნისა და წყლის საშუალებით და/ან პერსისტენტული მოქმედების ანტისეპტიური საშუალებების გამოყენებით; განსხვავდება ჩვეულებრივი ხელის ჰიგიენისაგან ტექნიკით, პროცედურის ხანგრძლივობით და გამოყენებული ანტისეპტიკური საშუალებებით;

**ხელის ქირურგიული ანტისეპტიკა** - ხელების პრეოპერაციული მომზადება, ხორციელდება ანტიმიკრობული საპნისა და წყლის და/ან პერსისტენტული მოქმედების ანტისეპტიური საშუალებების გამოყენებით; განსხვავდება ჩვეულებრივი ხელის ჰიგიენისაგან ტექნიკით, პროცედურის ხანგრძლივობით და გამოყენებული ანტისეპტიური საშუალებებით;

**ხელების მოვლა** - პრევენციული ღონისძიებები ხელების კანზე შესაძლო დაზიანებების თავიდან ასაცილებლად;

**ხველის ეტიკეტი** - მოქმედებათა ერთობლიობა, რომელთა დაცვა აუცილებელია ხველისა და ცემინებისას რესპირატორული დაავადებების გავრცელების შესამცირებლად;

**ჯვარედინი (კონტამინაცია) დაბინძურება** - ერთი ზედაპირიდან მეორეზე მიკროორგანიზმების გადატანა შუალედური რგოლის მიერ ხელით და/ან სამედიცინო ინსტრუმენტებით;

**ჰაერის მკვრივი ნაწილაკების მაღალეფექტური ფილტრი (HEPA)** - საჰაერო ფილტრი, რომელიც აკავებს 0,3 მიკრონზე მეტი ზომის მკვრივი ნაწილაკების 99,97%-ს, ჰაერის ნაკადის განსაზღვრული სიჩქარისას;

**ჰაეროვანი გადაცემა** - ხდება აეროზოლების ან ძალიან მცირე ზომის ნაწილაკების (5  $\mu\text{m}$  ზე მცირე დიამეტრის) საშუალებით, რომლებიც ინფექციურობას ინარჩუნებს გარკვეული დროის განმავლობაში და გარკვეულ მანძილზე. აეროზოლები წარმოიქმნება ხველის, ცემინების, ლაპარაკის, სამედიცინო პროცედურების (მაგალითად, ბრონქოსკოპია, სანაცია და სხვა) დროს. ზოგიერთი აეროვანი ნაწილაკი შეიძლება რამდენიმე საათის განმავლობაში დარჩეს ჰაერში შეწონილი და გავრცელდეს სივრცეში ან დიდ მანძილზე ჰაერის ნაკადთან ერთად;

**ჰიდროექსტრაქტორი** - მანქანა, რომელიც რეცხვის პროცესის დასრულების შემდეგ იღებს ზედმეტ წყალს ცენტრიფუგალური მოქმედებით;

**“ჰოტორნის ეფექტი”**- დაკვირვების/ექსპერიმენტის ქვეშ მყოფი ადამიანების ქცევაში მკვეთრი პოზიტიური ცვლილებები, რაც ეფუძნება განცდას, რომ ისინი არიან მნიშვნელოვანი ექსპერიმენტის მონაწილეები. ფსიქოლოგიური განმარტება - დაკვირვების ქვეშ მყოფი მოვლენის მკვეთრი ცვლილება, რომელიც განპირობებულია თავად დაკვირვების ფაქტით. ეფექტი აღმოაჩინა მეცნიერთა ჯგუფმა ელტონი მეიოს ხელმძღვანელობით (იხ. ლინკი [https://en.wikipedia.org/wiki/Hawthorne\\_effect](https://en.wikipedia.org/wiki/Hawthorne_effect)).

## აბრევიატურა:

ABHR - ალკოჰოლის შემცველი ხელის სანიტაიზერი

ATP - ადენოზინტრიფოსფატი

AER - ენდოსკოპის ავტომატიზებული რეპროცესორი

AIDS - შექმნილი იმუნოდეფიციტის სინდრომი (შიდსი)

CRE - კარბაპენემ-რეზისტენტული ენტერობაქტერია

COE - კოლონიის წარმომქმნელი ერთეულები

CDC - ა.შ.შ-ის დაავადებათა კონტროლისა და პრევენციის ცენტრები

CHA - კანადის ჯანდაცვის ასოციაცია

CHRISP - ჯანდაცვასთან დაკავშირებული ინფექციის ზედამხედველობის და პრევენციის ცენტრი

CMS - ცენტრალური საწარმოო სტანდარტები

EN - ევროპული ნორმა

ETO - ეთილენის ოქსიდი

FDA - საკვების და წამლის ადმინისტრაცია

GMP - კარგი საწარმოო პრაქტიკა

HAI - სამედიცინო სერვისებთან ასოცირებული ინფექცია

HBN - ჯანდაცვის მშენებლობის ქსელი

HEPA - მაღალი ეფექტურობის ნაწილაკების აბსორბცია

HBV - ჰეპატიტი „B“ ვირუსი

HCV- ჰეპატიტი „C“ ვირუსი

HIV(აივ) - ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსი

ICS - ინფექციის კონტროლის სერვისი

IAP - ინსპექცია, კომპლექტაცია და შეფუთვა

IQ - სამონტაჟო ხარისხი

ISO - სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაცია

IUS - დაუყოვნებელი გამოყენების ორთქლი (სტერილიზაცია)

MRGN - მულტირეზისტენტული გრამ-უარყოფითი ორგანიზმი

MRO - მულტირეზისტენტული ორგანიზმი

MRSA - მეთიცილინრეზისტენტული ოქროსფერი სტაფილოკოკი

OH&S - პროფესიული ჯანმრთელობა და უსაფრთხოება

OPA - ორთო-ფთალალდეჰიდი

OQ - მუშაობის ხარისხი

PPE - ინდივიდუალური დაცვის საშუალებები

PPM - ნივთიერების კონცენტრაცია დიდი განზავებისას. 1 PPM ექვივალენტია 1 მგ ნივთიერებისა 1ლ წყალში ან 1 კგ ნიადაგში

PEP - ექსპოზიციის შემდგომი პროფილაქტიკა

PVC - პოლივინილქლორიდი

QC-ხარისხის კონტროლი

QA - ხარისხის უზრუნველყოფა

RO - უკუოსმოსი

SDS- უსაფრთხოების სპეციფიკაცია (SAFETY DATA SHEET)

SAL - სტერილიზაციის გარანტირებული დონე

SOP - სტანდარტული ოპერაციული პროცედურები(სოპ)

SSD - სასტერილიზაციო განყოფილება

SWOT - ძლიერი მხარე, სუსტი მხარე, შესაძლებლობა და საფრთხე (ანალიზი)

SIGN - Safe Injection Global Network-უსაფრთხო ინექციების გლობალური ქსელი

WHO - ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია(ჯანმო)

VRE - ვანკომიცინ-რეზისტენტული ენტეროკოკი